პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 16 თებერვალი, 1944 წ. № 38 (6927) ფასი 20 კაპ.

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

ბაუცხრომელი, მჩქეფარე მუშაობა გაშლილი საკოლმეურნეო სოფელში. საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპები უკვე მეტყველებენ მის მასშტაბსა და იმ დიდ პატრიოტულ აღმავლობაზე, რასაც სოციალისტური სოფელი განიცდის. შარშანდელზე უფრო მაღალი, უხვი მოსავლის მიღების კეთილშობილური ამოცანა სოფლად მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, აგიტაცია-პროპაგანდის შემდგომ გაძლიერებას და გაუმჯობესებას მოითხოვს. საგიტაციო მუშაობის მრავალმხრივი ფორმები და მეთოდები მთლიანად უნდა იქნას გამოყენებული, როგორც სამეურნეო დავალებების გადაჭარბებით შესრულების, ისე მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის. ამხანაგ **სტალინის** ისტორიული წიგნის — „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმად შესწავლა ახალ ძალებს გვმატებს და კიდევ უფრო გვრაზმავს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

სოფლად მომუშავე აგიტატორთა მრავალრიცხოვანმა არმიამ მკაფიო, დამაჯერებელი, ფაქტებითა და არგუმენტებით აღსავსე საუბრებით მსმენელს უნდა მოუთხროს პარტიისა და მთავრობის დადგენილებებზე, სამამულო ომის მიმდინარე მომენტზე, დიდი სტალინის სტატყვებსა და ბრძანებებზე, წითელი არმიის გმირულ ბრძოლაზე ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, ზურგში საბჭოთა ადამიანების თავდადებული მუშაობის შესახებ ფრონტის დასახმარებლად — აგიტატორს მრავალი მასალა და თემა აქვს ცოცხალი, შემზიდველი, აღმაფრთოვანებელი, მასების დამრაზმავი საუბრების ჩასატარებლად. ყველა ეს საუბარი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული კონკრეტულ სამეურნეო ამოცანებთან.

მაგრამ როდი კმარა საუბარი მარტოოდენ ჩაატარო. აგიტატორი თვით უნდა იყოს მაგალითის მაჩვენებელი საქმიანობით, ცოდნით, დისციპლინით, პატრიოტული სულისკვეთებით. აგიტაცია როდი ნიშნავს მარტოოდენ მშვერმეტყველურ სიტყვას, საუბარს თუნდაც ყოველმხრივ გამართულსა და სანმუშოს. ხვნის გეგმის გადაჭარბებით შემსრულებელი, ტრაქტორის საუკეთესოდ შემკეთებელი, უხვი მოსავლის ოსტატი — საქმით არის აგიტატორი. იგი მაგალითს აძლევს თავის ამხანაგებს, აძლევს სტიმულს უკეთესი მუშაობისათვის. კასპის რაიონის სოფელ შუაუბნის პირველ კოლმეურნეობაში აგიტატორი თამარ მორჩილაძე ყოველდღიურ აგიტაციას ატარებს და თავისი მუშაობითაც მაგალითის მაჩვენებელია. მან დანაკარგების წინააღმდეგ არა მარტო საუბარი ჩაატარა კოლმეურნეებთან, არამედ საქმით გვიჩვენა აგიტატორის ორგანიზატორული როლი და უზრუნველჰყო ერთ ტონაზე მეტი ხორბლის შეგროვება საკოლმეურნეო მინდვრებში. ასეთი მოწინავე აგიტატორები მრავლად არიან საკოლმეურნეო სოფელში და საჭიროა მათი დადებითი გამოცდილების დანერგვა, ფართოდ გავრცელება.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია კი ამ მხრივ საკმაოდ არ ზრუნავს. იმავე კასპის რაიონის სოფ. ქვემო ხანდაკის საკოლმეურნეო პარტორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ა. ადამაშვილი) გასული წლის ივლისში გაანიხილა აგიტკოლექტივისა და სამი აგიტატორის მოხსენება მათი მუშაობის შესახებ კი ამ, ნაცვლად კონკრეტული ღონისძიების დასახვისა, დადგენილებაში ჩასწერა, რომ ეს მოხსენებები „მიღებულ იქნას ცნობად და საელმძღვანელოდ“.(!?). ასეთივე ფორმალური დამოკიდებულება გამოიჩინა საგარეჯოს რაიონის სოფ. მანავის მეკენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ორჯონიკიძე) მაშინ, როცა იქ საგიტაციო მუშაობა ჩაშლილი იყო. საგიტაციო მუშაობის ასეთმა შეუფასებლობამ მცირე როლი როდი ითამაშა მეურნეობის მიერ გეგმების შეუსრულებლობაში. საგიტაციო მუშაობა ყოველთვის მჭიდროდ არის დაკავშირებული სამეურნეო საქმიანობასთან და მისი შესუსტება ან უგულებელყოფა უარყოფითად მოქმედებს საწარმოო წარმატებებზე.

საქ. კ. პ. (ბ) რაიკომები და მათი პარტკაბინეტები ყოველდღიურად უნდა ზრუნავდნენ ბოლშევიკური აგიტაციის ფართოდ გაშლისა და სანმუშოდ მოწყობისათვის. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ აგიტაციის საკითხზე გამოტანილი კარგი დადგენილებაც კი მიზანს ვერ აღწევს, თუ არ სწარმოებს ბრძოლა მისი შესრულებისათვის და არ ხდება შესრულების შემოწმება.

პარტკაბინეტები ადგილზე დიდ როლს ასრულებენ მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის, მთელი საგიტაციო მუშაობის დარგში. მათ აქვთ ლიტერატურა, რომლითაც სარგებლობენ აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები, აგიტატორები, პროპაგანდისტები. აქვთ გამოფენა, მიძღვნილი სამამულო ომისადმი. იქ ეწყობა სემინარები, კონსულტაციები, ლექციები და მოხსენებები. პარტკაბინეტის მოქნილობაზე, მის ოპერატიულობაზე ბევრად არის დამოკიდებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის წარმატება. ამიტომ პარტკაბინეტების მუშაობა ადგილზე საჭიროა ყოველთვის იდგეს მოწოდების სიმაღლეზე.

თვალსაჩინო აგიტაცია, სურათები, პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საშუალებათა არსენალში გარკვეულ ადგილს იკავებენ და ისინი ყოველთვის ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვანი კერებია კლუბები, კულტურის სახლები, საბჭოთა ბიბლიოთეკები. თუ რა კარგი მუშაობა შეუძლიათ მათ აწარმოონ, მკაფიოდ გვიჩვენებს მახარაძის რაიონის ძიმითის სასოფლო კლუბის მაგალითი. ამ კლუბს (გამგე ამხ. ზ. სალუქვაძე) 130 აქტივისტი ჰყავს. ისინი ატარებენ საუბრებს და კონსულტაციებს. მოწყობილია ლიტერატურის გამოფენა, ძიძღვნილი ამხანაგ სტალინის წიგნისადმი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. აქტივისტები პრაქტიკულად არიან დაკავშირებულნი კოლმეურნეობის საქმიანობასთან. კარგად მუშაობენ კლუბთან არსებული სამხედრო, ფიზკულტურული, დრამატული, აგროტექნიკური და სანიტარული წრეები. სამხედრო წრემ, რომელსაც სამამულო ომის მონაწილე ამხ. გოგუაძე ხელმძღვანელობს, გასულ წელს 100 კაცი მოამზადა. კლუბის აქტივისტებმა დიდძალი საჩუქარი და თბილი ნივთები გაუგზავნეს ფრონტელებს. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა კარგად არის დაყენებული აგრეთვე ჭიათურის კულტურის სახლში.

მაგრამ ზოგან სათანადო სიმაღლეზე არ დგას კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების მუშაობა. სოფ. მუხრანის სამკითხველო ხშირად დაკეტილია. თუ ვაღაღებ, ისიც მხოლოდ რამდენიმე საათით. ცხადია, ასეთ პირობებში სამკითხველო სათანადო მომსახურებას ვერ უწევს მოსახლეობას. სუსტად მუშაობს ყვარლის რაიონის შილდის სასოფლო კლუბიც. ეს ნაკლოვანებები საჭიროა სასწრაფოდ გამოსწორდეს.

ძირეული პრესა — კედლის გაზეთები, კოლმეურნეობებსა. საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში მოწყობილი საგაზეთო ვიტრინები დიდ როლს ასრულებენ. მაგრამ არის შემთხვევები, როცა კედლის გაზეთები პერიოდულად ან სრულებით არ გამოდიან. ეს ძალიან ცუდია. საკოლმეურნეო პარტორგანიზაციებმა კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება უნდა გაუწიონ კედლის გაზეთებს. ასევე საჭიროა საგაზეთო ვიტრინებში ყოველდღე თავსდებოდეს გაზეთის ახალი ნომრები.

სოფლად ადგილობრივი რადიოფიკაციის ნორმალურ მუშაობას ზოგჯერ არ ექცევა სათანადო ყურადღება. აქ სრულიად უადგილოა „ტექნიკური მიზეზი“. სადაც ამ საქმეს ენერგიულად მოჰკიდეს ხელი, იქ შესძლეს რადიოგადაცემათა მოწყობა (ზუნელაკიძე, ჩოხატაური, ხაშური, ბორჯომი, გორი, სამტრედია). მაგრამ სადაც ნაკლებად იზრუნეს, იქ ეს საქმე მოუგვარებელია (აბაშა, ბოდანოვკა, ბორჩალო, ხობი). პარტიის რაიკომებმა ამ საქმეს სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

საკოლმეურნეო სოფელი დიდ პატრიოტულ აღმავლობას განიცდის. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებებს საკოლმეურნეო სოფლის მუშაკებმა ახალი ვალდებულებებით უპასუხეს. ტრაქტორების რემონტის გეგმის საუკეთესოდ შესრულებისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭომ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა საქართველოს სს რესპუბლიკას. ვუშინ გამოქვეყნდა საქართველოს სოფლის მეურნეობაში 1943 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემჯამებელი კომისიის ცნობა: ყოველივე ეს ახალ შრომაზეთს აღმავლობას იწვევს საკოლმეურნეო სოფელში.

სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებით ჩვენ მივაღწევთ ახალ წარმატებებს 1944 წელს უხვი სამშედრო მოსავლისათვის ბრძოლაში, საკოლმეურნეო სოფლის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებაში, რითაც მზარდ დახმარებას გავუწევთ წითელ არმიას, რომელიც დიდი **სტალინის** ბრძნული მხედართმთავრობით გმირულ ბრძოლას ეწევა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ და აახლოვებს ჩვენს საბოლოო გამარჯვებას.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

15 თებერვლის ოპერაციული ცნობა

15 თებერვლის განმავლობაში ქალაქ ᲒᲓᲝᲕᲘᲡ სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

ქალაქ ᲚᲣᲒᲘᲡ სამხრეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელები წინასწარ მომზადებულ თავდაცვითს ზღუდეებს ეყრდნობოდნენ და ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ნაწილების შეტევა. ჩვენი მებრძოლნი იჭრებიან მტრის წინააღმდეგობის კვანძებს შორის, გარს ერტყმიან და სპობენ მტრის გარნიზონებს. ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲢᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲐᲦᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲑᲐ.

Მ

პარტიულ-ორგანიზაციული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით მივაღწიოთ ახალ წარმატებებს

მიმდინარე წელს უკეთესად ვიმუშავებთ

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები, აღფრთოვანებულნი ხალხთა საყვარელი ბელადის და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენებით და გმირი წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებით, დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი დახმარება გაუწიონ ფრონტს, ჩვენს ქვეყანას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საბოლოო განადგურებაში. რაიონის პარტიული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მოსახლეობაში. საგრძნობლად გაუმჯობესდა პოლიტიკური მუშაობა სოფლად.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის აღმავლობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საფუძველზე რაიონის მშრომელებმა 1943 წელს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაო წარმატებით და ხარისხიანად დაამთავრეს. მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობი 500 ჰექტარით გადიდდა. მოსავალი აღებულ იქნა უმოკლეს ვადაში და უდანაკარგოდ. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების წლიური გეგმა შესრულდა ვადაზე ადრე 104,4 პროცენტით, მტს-ის ნატურანაზღაურებისა—106,8 პროცენტით. სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარების შემდეგ რაიონის კოლმეურნეებმა სახელმწიფოს 5.357 ფუთი ხორბალი მიაყიდეს.

რაიონის კოლმეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების დარგში. მსხვილფეხა რქიანი საქონლის განვითარების გეგმა შესრულებულია 104,2 პროცენტით, მეცხვარეობის და მეთხეობისა—107,6 პროცენტით, მეღორეობისა—146,8 პროცენტით, მეფრინველეობისა—101,4 პროცენტით.

რაიონის კოლმეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს საქონლის საკვების დამზადებისა და ადგილზე მიტანის დავალებები. რაიონმა ვადამდე შეასრულა მეცხოველეობის ყველა სახის პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების წლიური დავალებანი, კერძოდ, ხორცისა—112,3 პროცენტით, გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე რძის ნაწარმის, მატყლის დამზადების გეგმები. მოწინავე კოლმეურნეობებმა სახელმწიფოს 1944 წლის ანგარიშში ავანსად ჩააბარეს 61.740 კილოგრამი ხორცი. რაიონის კოლმეურნეობებმა ვადაზე ერთი თვით ადრე გადაჭარბებით შეასრულეს თამბაქოს ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

რაიონის მშრომელებმა სამშობლოს თავდაცვითი უნარიანობის შემდგომი განმტკიცების საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს. სოფელ ორჯონიკიძის ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პირველადი პარტორგანიზაცია (მდივანი ამხ. თ. ლობჟანიძე) სათავეში ედგა და უდგას მაღალი მოსავლისათვის ბრძოლას. კოლმეურნეთა ენერგიული მუშაობის შედეგად, კოლმეურნეთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობისა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად აქ შრომადღეზე 3,5 კილოგრამი ხორბალი გაანაწილეს. კარგად მუშაობენ № 1 ბრიგადის აგიტატორი ამხ. გ. მეტრეველი, № 2 ბრიგადის აგიტატორი ვ. ლობჟანიძე. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე 16 ტონით მეტი თამბაქო ჩაბარა სახელმწიფოს. კოლმეურნეები ვანო ლობჟანიძე, პავლე მაისურაძე, მიხეილ ვაიტაძე, ნინო ჩაგელიშვილი, მარო ჩიკვილაძე ყოველდღიურ სამუშაო ნორმებს 250-300 პროცენტით ასრულებენ.

დიდი როლი ითამაშა საკოლმეურნეო შრომაში კომუნისტთა პირადი მაგალითის ძალამ. სოფ. შრომის კოლმეურნეობა „შრომა“ (თავმჯდომარე ამხ. ერ. სამარგველიანი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ანა დემეტრაძე) კარგად მუშაობს. აგროტექნიკურ ღონისძიებათა გატარებით თამბაქოს მაღალი მოსავალი მიიღო—ჰექტარზე საშუალოდ 21-22 ცენტნერი თამბაქო. ამ კოლმეურნეობის წევრი ღვთისო ბეგიაშვილი მოწინავე კოლმეურნეა. სამამულო ომის წლებში სამუშაო ნორმებს 200-300 პროცენტით ასრულებს და 1943 წელს 600 შრომადღე გამოიმუშავა. მოწინავე კოლმეურნეები არიან ტიტი ბუთლიშვილი, ვერო ზავრიშვილი, ეთერ კამარიძე, სერგო ბლიაძე, ტასო ფაქიძე.

სოფ. თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. გ. კორახაშვილი ფიზიკური შრომის პირად მაგალითს იძლევა, გამომუშავებული აქვს 442 შრომადღე.

სოფ. შრომის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ „სამამულო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებული ამხ. გიორგი ნატრიშვილი. ამ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია გაიზარდა მოწინავე ადამიანთა მიღებით. პარტიის წევრებად მიღებული არიან მერგოლურები ამხ. ნინო გოგატიშვილი, ვერეა ჯოგრიეშანი, პარტიის წევრობის კანდიდატებად კი მოწინავე ბრიგადის ბრიგადირი სტეფანე ბესაშვილი, მეცხოველეობის ფერმის გამგე ამხ. ნიკოლოზ ბლიაძე. კომუნისტები ყველა ბრიგადაში მუშაობენ და ყველა მათგანი სტახანოველია. კოლმეურნე ქალები მარგალიტა კვიტინაძე, აგრაფინა ბლიაძე, თამარ ხარხიშვილი, ანეტა ნარინდოშვილი, პელო მამამთავრიშვილი სტახანოვიერად მუშაობენ. ამ კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 93 ტონისა 131 ტონა თამბაქო ჩააბარა. ასეთი მოწინავე კოლმეურნეობები და კოლმეურნეები რაიონში ბევრია.

კოლმეურნეობას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში კარგად ეხმარებოდა რაიონის საქონელო-სატრაქტორო სადგური, რომელმაც წლიური დავალება მსუბუქ ხვნაზე გადაყვანით 20 დეკემბრისათვის 106 პროცენტით შეასრულა.

საქ. სს რესპუბლიკის კოლმეურნეთა, კოლმეურნე ქალთა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებას ლაგოდეხის რაიონის მშრომელები უფიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. დაჯილდოებულ მოწინავე ადამიანთა შორის 14 ამხანაგი ლაგოდეხის რაიონიდან არის.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები, მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად აღფრთოვანებულნი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს X სესიის ისტორიული გადაწყვეტილებებით და ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის ახალი გამარჯვებებით, ენერგიულად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები ახალი საწარმოო წარმატებებით ხვდებიან დიდ თარიღებს — წითელი არმიის XXVI წლისთავსა და საბჭოთა საქართველოს XXIII წლისთავს. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობაში 1943 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემჯამებელმა რესპუბლიკურმა კომისიამ, განიხილა რა გასული წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად სცნო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიაკუთვნა ლაგოდეხის რაიონს.

ლაგოდეხის რაიონის მშრომელები არ ზოგავენ ძალებს, რათა 1944 წელს მოიპოვონ ახალი წარმატებანი სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში, მეტი ენერგიით იმუშაონ და ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ 1944 წელს მივიღოთ უხვი სამხედრო მოსავალი, კიდევ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები მივაწოდოთ ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას. გავალიერებთ დასპარეზას ემირი წითელი არმიისადმი — გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების საბოლოო განადგურების დასაჩქარებლად.

ზ. ნუცუბიძე

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი

სამგრედიის რკინიგზელთა პარტიული-სამეურნეო აქტივის კრება

სამტრედია („კომუნისტის“ საქ. კორ.). ამ დღეებში საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის ხელმძღვანელობით ჩატარდა სამტრედიის რკინიგზელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება.

1943 წლის განვლილ მუშაობისა და 1944 სამეურნეო წლის ამოცანების შესახებ აქტივმა მოისმინა სამტრედიის პირველი საექსპლოატაციო განყოფილების უფროსის ამხ. ვ. კვიცარიძის, საორთქლმავლო მეურნეობის უფროსის და ამხ. ვ. გოგოლაძის, სავაგონო უბნის უფროსის ამხ. გიორგაძის და მეორე სალიანდაგო დისტანციის უფროსის ამხ. გუჯაბაძის მოხსენებები. როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, სამტრედიელმა რკინიგზელებმა 1943 წლის ყველა სახის საწარმოო გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს, უზრუნველჰყვეს ტვირთბიდნა ფრონტისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

სამტრედიის სავაგონო დეპოს მუშათა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა ყოველგვარი საწარმოო გეგმები, ამას გარდა გეგმის ზევით 1.200-ზე მეტი სალიანდაგო ხელსაწყოები გაუგზავნა გერმანელი ოკუპანტებისაგან განთავისუფლებულ რაიონთა სალიანდაგო დისტანციებს. მოძრაობის დარგის პირველი განყოფილების მუშებმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ტვირთბოდვის სახელმწიფო გეგმები.

კრებაზე აღინიშნა სუსტი მუშაობა სადგ. ფოთის, ინგირისა და ხეთას სადგურთა უფროსებისა, რომლებმაც ვერ შეამცირეს ვაგონების მოცდენის დრო და აგრეთვე სამტრედიის საორთქლმავლო მეურნეობისა, სადაც მოუწესრიგებელია წყლის გაყვანილობა, რაც ნაწილობრივ აფერხებს ორთქლმავლების ზუსტ მუშაობას.

აქტივის კრებაზე გამოვიდნენ ამიერ-კავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილე ამხ. ტაბატაძე და საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი ამხ. გ. გაბუნია.

ზ. სიხარულიძე

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი

საგიჯაციო-საპროპაგანდო მუშაობის საკითხები რაიონულ გაზეთში

საგარეჯოს რაიონული გაზეთი „სტალინური სიტყვა“ არასაკმაოდ აშუქებს ვასობრივ-პოლიტიკური და საგიტაციო მუშაობის საკითხებს. გასული წლის განმავლობაში გაზეთს ფართოდ არ გაუშუქებია რაიონში აგიტკოლექტივების, კოლმეურნეობებში პოლიტიკური მოხსენებებისა და ლექციური მუშაობის საკითხები. კოლმეურნეობებში აგიტატორები ბევრგან სუსტად მუშაობენ. რედაქციის მიერ გამოქვეყნებულ წერილებში კი აგიტატორთა მუშაობა ყოველთხრივ არ არის განხილული. რედაქცია კმაყოფილდება ფაქტების რეგისტრაციით; ანალიზს არ უკეთებს იმას, თუ რა იწვევს საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის ჩამორჩენას.

გასული წლის 13 მაისს დაბეჭდილ „კორესპონდენციაში „აგიტაცია მოწოდების სიმაღლეზე“ გაზეთმა უბრალოდ მოიხსენია, რომ „ვიორგიწმინდის ბერიას სახ. კოლმეურნეობაში... აგიტატორ ქეთო კირვალიძესა... უკანასკნელ თვენახევარში 2-3 ზამთრის კითხვა აქვს ჩატარებული“. რედაქციას სიფუძვლიანად უნდა შეესწავლა კირვალიძის საქმიანობა და ჭიაურად ეფიქრებინა იგი, როგორც შეუფერებელი აგიტატორი. კირვალიძე არც მასწავლებლობდა და არც კოლმეურნეობაში მუშაობდა; დასაწყოდა კოლმეურნეობაში ფიზიკურად მომუშავე მასწავლებლებს; თავის დას საკოლმეურნეო სამუშაოზე არ უშვებდა.

იმავე წლის 19 აგვისტოს გაზეთმა დაბეჭდა პარტიის საგარეჯოს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. შ. გრიგოლაშვილის წერილი „გავაძლიეროთ პოლიტიკური მუშაობა სოფლად“. აგიტორმა და რედაქციამ ჯერ მოიხსენიეს აგიტატორების თ. როგიკაშვილის და თ. გოგნიაშვილის მუშაობა, თითქოს ისინი „ყოველდღიურად აცნობენ მოსახლეობას სამამულო ომის ამბებს და „ეკიურებენ მას, ზურგის მებრძოლთა ამოცანებს“. ამის შემდეგ ერთი თვეც არ გასულა, და გაზეთმა ამხ. ს. კუპრავას კორესპონდენციაში აღნიშნა, რომ „აგიტატორების თ. გოგნიაშვილის და სხვ. მუშაობა ამ მხრივ არაკმედითია, შემთხვევითია და უგებგმო ხასიათს ატარებს“, ხოლო „... აგიტკოლექტივის ხელმძღვანელი თ. როგიკაშვილი არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, იშვიათად ტარდება აგიტატორებთან სემინარები, კონსულტაციები, საუბრები“. ამით რედაქციამ უხერხულ მდგომარეობაში ჩაიყენა თავი. ნუთუ აგიტატორები, რომლებიც კარგად მუშაობდნენ, ერთბაშად ცუდ მომუშავეებად იქცნენ? ახლა გამორკვეულია, რომ უჯარმის სოფლსაბჭოში მომუშავე აგიტატორები თ. გოგნიაშვილი და თ. როგიკაშვილი სუსტად მუშაობდნენ და ისინი რედაქციამ უსაფუძვლოდ შეაქო.

1943 წლის იანვრიდან 1944 წლის თებერვლამდე „სტალინურმა სიტყვამ“ მხოლოდ 12 წერილი მიუძღვნა რაიონში აგიტატორთა მუშაობის საკითხს. გაზეთმა ვერ მოაწყო ბრძოლა მამხილებელი კორესპონდენციების შედეგიანობისათვის. ზოგიერთი წერილი ზოგადია და არ სწორს ჩამორჩენის მიზეზებს, არ განაზოგადებს მოწინავეთა მუშაობის გამოცდილებას. გასული წლის 11 აპრილს რედაქციამ გამოაქვეყნა ამხ. ს. გორთამაშვილის კორესპონდენცია „ქმედითი აგიტაციისათვის“. მასში ეუბნაურესად ლაპარაკია არა აგიტატორთა მუშაობაზე, არამედ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი წრისა და კაკაბეთის სოფლსაბჭოში ფულადი სახსრების ჰობილიზაციის გეგმების შესრულების შესახებ.

გაზეთი „სტალინური სიტყვა“, რომლის რედაქტორი ამხ. ა. ზაქარეიშვილია, მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს პოლიტიკურ-მასობრივი და საგიტაციო საკითხების ფართოდ გაშუქების საქმეს. შეისწავლოს მოწინავე აგიტატორების საქმიანობა, მათი მუშაობის გამოცდილებაზე დამაჯერებლად უამბოს მკითხველს, მკაცრად გაკიკრიტიკოს ცუდად მომუშავე აგიტატორები და მიიღოს კრიტიკული წერილების ქმედითობას.

ს. შუბარაშვილი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდის განყ. ინსტრუქტორი

გავაუმჯობესოთ სოფლად საგიჯაციო-მასობრივი მუშაობა

(მცხეთა, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებში, მტს-ში და სხვ. აგიტატორები ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. ისინი ეხმარებიან კოლმეურნეებს უბვი სახხედრო მოსავლის მიღებასა და ფრონტისადმი დახმარების კიდევ უფრო გაძლიერებაში. რაიონის კოლმეურნეობებში გასული წლის ნოემბრიდან დღემდე პოლიტიკურ თემებზე ჩატარებულია 35 მოხსენება და 65 საუბარი, რომლებსაც 4.121 კაცი დაესწრო. კოლმეურნენი ცხოველი ინტერესით სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ბელადის წიგნის შესწავლისათვის შექმნილი 25 წრიდან 15 წრე მოწყობილია სოფლად. ამ წრეებში გაერთიანებულია 489 კაცი. მთელი რიგი ამხანაგები სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობენ. რაიონში მუშაობას ეწევა 18 აგიტკოლექტივი, ამათგან 14 აგიტკოლექტივი სოფლებშია, სადაც 241 აგიტატორი მუშაობს. აგიტატორთა დიდი უმრავლესობა უმაღლესი განათლებითაა. აგიტკოლექტივები საქმიანად ეხმარებიან აგიტატორებს, ხშირად აწყობენ მათ შეკრებებს. შედარებით უკეთესად მუშაობენ ფილკრის (ხელმძღვანელი ამხ. თოდაძე) და მცხეთის (ხელმძღვანელი ამხ. მ. ლაშხარა) აგიტკოლექტივები. აგიტატორები ამხ. თბილელაშვილი, ნაუაშვილი, მაყარაშვილი, ჯანგიძე, ბარისაშვილი და სხვ. წინასწარ ემზადებიან საუბრებისათვის და კოლმეურნეებს სისტემატურად აცნობენ წითელი არმიის წარმატებებს, საერთაშორისო ამბებს, საუბრებს ყოველ ოჯის უკავშირებენ სამუშაოთა მიმდინარეობას საკოლმეურნეო მინდვრებში, ფერმებში, მტს-ის სახელოსნოში.

რაიონში თვეში 250 წამკითხველ-მესაუბრე, რომლებიც კოლმეურნეთა შორის ატარებენ გაზეთების ხმამაღლა წაკითხვას, საჭირო განმარტებებს აძლევენ კოლმეურნეებს მათთვის საინტერესო კითხვებზე.

რაიონის კოლმეურნეობებში, სასოფლო საბჭოებსა და საწარმო-დაწესებულებებში გაჰოდის 100-ზდე კედლის გაზეთი და, გარდა ამისა, მოწყობილია 25 საგაზეთო ვიტრინა.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მცხეთის რაიონში ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ არ არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგიტაციო მუშაობა მოისოსტეტს. სოფ. ჩარდაფნის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში ზამთრის თვეებში საგიტაციო მუშაობა შეანელეს აგიტატორებმა და წამკითხველ-მესაუბრეებმა ამხ. ს. მუზითაგვერდელმა, ნ. საყვარელიძემ, ა. ხოსროშვილმა, კ. მუზაშვილმა და ვ. მელაძემ.

სოფ. ნინბისის სტალინის სახელობის, სოფ. სასხორის ვოროშილოვის სახელობის, მუთათაგვერდის ოძელაშვილის სახელობის, წიწამურის ლ. ბერიას სახელობის და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში წელს კედლის გაზეთის არცერთი ნომერი არ გამოსულა. სოფ. ბარდახის კ. ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც კედლის გაზეთ „კოლმეურნის ხმის“ რედაქტორად ამხ. ნ. საყვარელიძე ითვლება, გარდა იმისა, რომ მეოთხე თვეა გაზეთის ამაური ნომერი არ გამოუშვიათ, კედელზე გაკრული 7 ნოემბრის ნომერიც ზოგადი და შინაარსის მხრივ სუსტია. მასში მოთავსებულია მხოლოდ ერთიოდე ნაჩქარევად დაწერილი მასალა. სუსტია აგრეთვე კედლის გაზეთი ჟუჭარანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

მართალია, მთელ რიგ კოლმეურნეობებში კედლის გაზეთი დროულად გამოდის, მაგრამ ივიწყებენ ხარისხს. სათანადო ყურადღება არ ექცევა საკითხების შერჩევას, წერილები იშვიათად შეიცავს კონკრეტულ ფაქტებს. თითქმის ყველა ნომერში შეეხვდებით განცხადებას „მოგვაწოდეთ წერილები“.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს ზოგიერთი სამკითხველო. სოფ. ბუხრანის სამკითხველოს გამგეს ამხ. რ. ოსიპოვს სასოფლო საბჭო სხვა დავალებებზე ეყუნებს. ამის გამო სამკითხველო ხშირად დაკეტილია. მაგალითად, 13 თებერვალს, დაახლოებით დღის 3 საათზე, სამკითხველო დაკეტილი აღმოჩნდა, ხოლო როცა გაიარეს, კარზეთის ზოგიერთი ჯალი ნომერი შკაფში იყო ჩაკეტილი, მაგიდაზე კი 8 თებერვლის გაზეთები ეწყო. გაოცებულ ვიყავი, რომ სამკითხველო დღეში ნაცვლად 8 საათისა მხოლოდ 4-5 საათს არის ღია და ამაშინაც მოსახლეობას სათანადო მომსახურებას ვერ უწევს. მსგავსი მდგომარეობაა წილკნის და ქსოვრისის სამკითხველოებში.

რაიონის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, განათლების განყოფილებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საგიტაციო და კულტურულ-მასობრივი მუშაობის უკეთ დაყენების საქმეს.

ტრ. თოდრაძე

გეგმის შესრულება

ქობულეთი („კომუნისტის“ კორ.). ქობულეთის რაიონმა ტუნგოს ნედლი ნაყოფის დამზადების გეგმა 14 თებერვლისათვის 102 პროცენტით შეასრულა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.441 ტონისა დამზადებულია 1.445,3 ტონა ნაყოფი.

ალ. ახალაძე

საბჭოთა კავშირის გმირის გვარდიის მაიორ-ინჟინერ გ. გ. გოცირიძის სახელოვანი ბრძოლის ბილიკებზე

ს. ბოსლაკოვი, „კომუნისტის“ საქ. კორესპონდენტისაგან

მდინარე დნეპრის გადალახვისას გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე პლაცდარმის განმტკიცებისათვის გვარდიის მაიორ გიორგი გიორგისძე გოცირიძეს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

გოცირიძე დაიბადა 1910 წელს თბილისში, იქვე დამთავრა საშუალო სკოლა და ინსტიტუტი. 1926 წელს ლენინურ კომკავშირში შეიყვანა, 1940 წელს ბოლშევიკების პარტიის წევრი გახდა. სტალინგრადის ფრონტზე გოცირიძე 1942 წლის შემოდგომაზე ჩავიდა. იგი საინჟინრო ბატალიონს მეთაურობდა. გოცირიძემ დამთავრა სამხედრო-საინჟინრო აკადემია, დიდი ცოდნა და გამოცდილება შეძინა. ყოველივე ეს გოცირიძეს გამოადგა ვერაგი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1943 წლის თებერვალში იგი უკვე დონზე ავებდა გადასასვლელებს. წითელი არმიის ნაწილები დონის ჩრდილოეთსა და სამხრეთ ნაპირებზე მოქმედებდნენ. მათ შორის კავშირი არ იყო. სარდლობამ უბრძანა გოცირიძის ბატალიონს გაეკეთებინა გადასასვლელი. მესანგრეები შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ ვერაშანელებმა გააფთრებული სროლა ატეხეს. გოცირიძემ განკარგულება გასცა ორი გადასასვლელი აეგოთ სხვა ადგილას. გერმანელებმა მთელი ცეცხლი იქით გადაიტანეს. გერმანელები რომ ჩვენ მიერ დიდი ჯაფით აგებულ გადასასვლელს დაანგრევდნენ, ჩვენი დაუღალავი მესანგრეები კვლავ აღადგენდნენ ხოლმე მათ. ასე გრძელდებოდა მთელ დღეს, და ბოლოს ფაშისტები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ. სხვა ადგილას აგებული გადასასვლელები მტრის მოსატყუებლად კეთდებოდა, ნამდვილი გადასასვლელი კი მუშაობდა. ამ გადასასვლელით გადაიარეს ჩვენი ნაწილები, რომელთაც გერმანელები ვერ ამჩნევდნენ. გადადიოდა არტილერია, ტანკები. ამრიგად, გოცირიძის გამჭრიახობის მეოხებით ჩვენმა ჯარებმა მოულოდნელად მსროლავად დაარტყეს ჰიტლერელებს ფლანგიდან და უკუიქციეს ისინი.

დიდი მამაცობა გამოიჩინა გოცირიძის ბატალიონმა დნეპრის გადალახვისას. ჩვენი შემტევი ნაწილის წინაღმდეგ ოდა გერმანელთა ორი დივიზია „დას რაიხ“ და „მკვდარი თავი“, მათ 130-ზე მეტი ქვემეხი ეხმარებოდა. გოცირიძის ბატალიონმა შესანიშნავი სარდლობის დავალება — გადასასვლელი ააგო იქ, სადაც გერმანელები არ მოელოდნენ. ნაპირი ციცაბო იყო, მაგრამ მამაცმა საბჭოთა მესანგრეებმა დასძლიეს ბუნება, უზრუნველჰყვეს არა მარტო ტანკების, არამედ ძმიმე თვითმავალი არტილერიის გადასვლაც. გერმანელებმა თავი მოუყარეს დიდ სატანკო ძალებს და ცდილობდნენ უკანვე დნებრში გადმოეყარათ მდინარეზე გადასულ საბჭოთა ქვეგანაყოფები. საშველად მივიდნენ გოცირიძის მესანგრეები. მათ დანაღმეს გარშემო ადგილი. ფაშისტთა ვერც ერთმა ტანკმა ვერ გაიარა. ჩვენმა ნაწილებმა ძალლონე მოიკრიბეს, სწრაფად წაწიეს წინ და სასტიკად დაამარცხეს ჰიტლერელები.

საქართველოს შეუძლია იამაყოს, რომ ჰყავს მამაცი შვილი—გიორგი გოცირიძე.

ვ. ფარა-მურზა

დეპეშები

გერმანიის ანკარის საელჩოს წევრის გაქცევა

ანკარა, 10 თებერვალი (საკდესი). გერმანიის ანკარის საელჩოს ატაშეს თანაშემწემ ერიან ფერმერენმა დასტოვა თავისი საელჩო, გასწყვეტა მასთან ურთიერთობა და სირიაში წავიდა. როგორც უცხოელთა წრეები გადმოგვცემენ, გაქცევა გამოწვეულია პოლიტიკური მიზეზებით—იმით, რომ ფერმერენი არ ეთანხმება ჰიტლერული მთავრობის პოლიტიკას.

ლონდონი, 10 თებერვალი (საკდესი). როგორც რეიტერის საგაზეთო გადმოგვცემს, ვაზეთ „დეილი მეილის“ სტამბოლელი კორესპონდენტი იუწყება, რომ თურქეთიდან გაიქცნენ და იმ რაიონში ჩავიდნენ, სადაც მოკავშირეები იმყოფებიან, გერმანიის თურქეთის ელჩ ფონ პაპენის ნათესავი გრაფინია ელიზაბეტ ფერმერენი და მისი ქმარი ერიან ფერმერენი, რომელსაც სამხედრო ატაშის თანაშემწის პოსტი ეკავა. კორესპონდენტი დასძენს, რომ ისინი გეტაპოსაგან თავის გადარჩენად თავშესაფარს ეძებდნენ ინგლისის სტამბოლის საელჩოში“.

თურქეთში მყოფი გერმანელთა საიდუმლო სამსახურის სამი თანამშრომლის გაქცევა

ლონდონი, 14 თებერვალი (საკდესი). რეიტერის საგაზეთოს ცნობით, თურქეთში ავკვირის ბოლოს ჰიტლერელთა სამსახურიდან გაიქცა კიდევ სამი გერმანელი. ესენი არიან კარლ ფონ კლეიკამფი და მისი ცოლი, აგრეთვე ვილი ჰამბურგერი — გეტაპოს თანამშრომელი და საქმიანი წრეების წარმომადგენელი, რომელიც ცნობილია სტამბოლში.

12 თებერვალს კლეიკამფის და მისი ცოლის ბრძანება მიიღეს — დაბრუნდნენ გერმანიაში, რათა პასუხი აგონ მათ წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებზე. ისინი გაქრნენ და, როგორც გამოირკვა, ამჟამად ეფუფოფებიან მოკავშირეთა ტერიტორიაზე. კლეიკამფის ცოლი მუშაობდა კონტრდაზვერვის ცნობილ აგენტ ბრუნო ვოლფის თანაშემწედ.

ახალი დაპატიმრებანი ნორვეგიაში

სტოკჰოლმი, 15 თებერვალი (საკდესი). შვედურმა გაზეთმა „ავენსკა დაგბლადეტმა“ გამოაქვეყნა შვეიცარ-ნორვეგიის პრესბიუროს ცნობა იმის შესახებ, რომ უკანასკნელ დღეებში ნორვეგიაში მოხდა ახალი მასობრივი დაპატიმრებანი. განსაკუთრებით ბევრი ნორვეგელი დააპატიმრეს ოსლოში, ბერგენსა, ტრონჰეიმსა და სხვა ქალაქებში. ცნობაში აღნიშნულია, რომ ჰიტლერელთა მიზანს წარმოადგენს ამნაირად თავიდან მოიშორონ ყველა მეტად აქტიური თავანანი მტერი ნორვეგიაში.

მდგომარეობა ბელგიაში

ლონდონი, 15 თებერვალი (საკდესი) ბელგიის ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, ჰიტლერელებმა გერმანიაში გაგზავნეს ბელგიის სასატიმროებსა და ციხეებში მყოფი ყველა პოლიტპატიმარი. ევაკუაცია მოახდინეს, ალბათ, ჰიმლერის ბრძანებით, როდესაც იგი ბელგიაში იმყოფებოდა. სამინისტრო იუწყება აგრეთვე, რომ ჩაიფუშა ოკუპანტების მიერ გამოცხადებული მობილიზაცია 1920 და 1921 წელს დაბადებულ ბელგიელებისა. მობილიზაცია ეხებოდა 12 ათას კაცს, მაგრამ ჰიტლერელებმა მოახერხეს გერმანიაში გაეგზავნათ მხოლოდ 450 კაცი.

ბრძოლები იუგოსლავიაში

ციურიხი, 15 თებერვალი, (საკდესი). იუგოსლავიიდან აქ მოღებული ცნობებით, სანჯაყში სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები შეუპოვარ ბრძოლებს ეწევიან ოკუპანტების ჯარებთან. ჰიტლერელებს ფრონტის ამ უბანზე ძლიერი მაშველი ძალები მოპყავთ. ალბოსავლეთ ბოსნიაში მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის ყველა ცდა როგატიციდან განთავისუფლებულ ტერიტორიაში შეჭრილიყო.

ჰერცეგოვინასა, ჩრდილოეთ დალმაციასა, სერბეთსა და სლოვენიაში განუწყვეტელი ბრძოლები სწარმოებს გერმანელთა ნაწილებთან, რომელთაც დიდი ზარალი მოსდით.

ფრონტის ყველა დანარჩენ სექტორში საბალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები ადგილობრივი ეროვნული ოპერაციებს ეწევიან.

გროსუპლე-კოჩეევის რკინიგზის ხაზზე გრძელდება ბრძოლები მტრის ნაწილებთან. ბოწინააღმდეგე ცდილობს შეაკეთოს დანგრეული რკინიგზის ხაზი.

სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის უმაღლესმა მთავარსარდალმა მარშალმა ტიტომ გამოსცა ბრძანება, რომლითაც მაღლობას უცხადებს დალმაციის მე-5 ბრიგადას და ჩრდილოეთ-დალმაციის რაზმს სიმტკიცისა და წარმატებისათვის ჩრდილოეთ დალმაციაში გერმანიის ალპურ დივიზიასთან ბრძოლებში.

ლექციები და მოხსენებები

17 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პროსპ. 83) შესდგება ამხ. **სულეიმანის** ლექცია რუსულ ენაზე. **თემა: „სამამულო ომის მიმდინარე მომენტი და საერთაშორისო მდგომარეობა“.** ბილეთების შეძენა შეიძლება პარტკაბინეტში.

18 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეთილი-ნებელთა ორი დივიზია „დას რაიხ“ და „მკვდარი თავი“ — ბრძოლაში.

ვ. ფარა-მურზა

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს,
რომ ა. წ. 24 თებერვალს, დღის 1 საათზე ფიზიკის აუდიტორიაში (მარის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ALEXANDRE IVANESH-ძე GABICHVILADZE დაიცავს დისერტაციის ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე:
„Исследование темного тока в аддитивно окрашенных кристаллах KCE“.
ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი დ. ბ. ღოღობერიძე, პროფესორი პ. სოკოლოვი.
დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი აკად. ა. ზაზნელიძე